

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება:

სრული შემოსავლის ანგარიშგება7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება..... 10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია..... 11
2. მომზადების საფუძველი 11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა..... 13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....25
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა26
6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი32
7. სხვა შემოსავალი32
8. შემოსავალი ჯარიმებიდან და საკომისიოებიდან32
9. სხვა საოპერაციო ხარჯები.....32
10. ფული და ფულის ეკვივალენტები33
11. გაცემული სესხები33
12. გადავადებული საგადასახადო აქტივი.....36
13. ძირითადი საშუალებები37
14. იჯარები38
15. საგადასახადო ვალდებულებები.....38
16. სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები39
17. საწესდებო კაპიტალი41
18. პოტენციური ვალდებულებები.....42
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან43
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....44

მმართველობის ანგარიშგება 45

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელებს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევლება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგება და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2025 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.



აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების, ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “მულატრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

თამარ სუმბაძე (სარეგისტრაციო ნომერი **SARAS-A-966804**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 ივნისი, 2026 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელებს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2025 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა, გამოვთქვით მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების, ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



თამარ სუმბაძე (სარეგისტრაციო ნომერი **SARAS-A-966804**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 ივნისი, 2026 წელი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

| | შენიშვნა | 2025 | 2024 |
|---|----------|------------------|------------------|
| საპროცენტო შემოსავალი | 6 | 18,347,795 | 14,598,024 |
| საპროცენტო ხარჯი | 6 | (8,376,736) | (6,885,138) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | 9,971,059 | 7,712,886 |
| კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ცვლილება | 11 | (14,507) | 50,837 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის ცვლილების შემდგომ | | 9,956,552 | 7,763,723 |
| სხვა შემოსავალი | 7 | 692,611 | 815,428 |
| შემოსავალი ჯარიმებიდან და საკომისიოებიდან | 8 | 1,621,631 | 1,314,640 |
| სახელფასო ხარჯები | | (2,277,782) | (2,020,512) |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | | (363,677) | (341,874) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 9 | (1,193,363) | (1,125,078) |
| საკურსო სხვაობიდან წარმოშობილი მოგება (ზარალი), წმინდა | | 360,399 | (421,277) |
| მოგება დაბეგვრამდე | | 8,796,371 | 5,985,050 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 12 | (1,778,422) | (1,199,443) |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | | 7,017,949 | 4,785,607 |

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2026 წლის 15 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ა. ხიფაძე

თ. რიაზუხა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

| | შენიშვნა | 2025 | 2024 |
|---|----------|------------------|------------------|
| საპროცენტო შემოსავალი | 6 | 18,347,795 | 14,598,024 |
| საპროცენტო ხარჯი | 6 | (8,376,736) | (6,885,138) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | 9,971,059 | 7,712,886 |
| კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ცვლილება | 11 | (14,507) | 50,837 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის ცვლილების შემდგომ | | 9,956,552 | 7,763,723 |
| სხვა შემოსავალი | 7 | 692,611 | 815,428 |
| შემოსავალი ჯარიმებიდან და საკომისიოებიდან | 8 | 1,621,631 | 1,314,640 |
| სახელფასო ხარჯები | | (2,277,782) | (2,020,512) |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | | (363,677) | (341,874) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 9 | (1,193,363) | (1,125,078) |
| საკურსო სხვაობიდან წარმოშობილი მოგება (ზარალი), წმინდა | | 360,399 | (421,277) |
| მოგება დაბეგვრამდე | | 8,796,371 | 5,985,050 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 12 | (1,778,422) | (1,199,443) |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | | 7,017,949 | 4,785,607 |

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2026 წლის 15 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

თ. რიაბუხა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|--------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| აქტივები | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 10 | 4,107,390 | 2,817,215 |
| გაცემული სესხები | 11 | 94,410,873 | 79,136,361 |
| სხვა აქტივები | | 141,442 | 72,459 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 12 | 101,105 | 145,480 |
| არამატერიალური აქტივები | | 5,147 | 9,929 |
| აქტივების გამოყენების უფლება | 14 | 808,139 | 730,908 |
| ძირითადი საშუალებები | 13 | 471,446 | 536,312 |
| სულ აქტივები | | 100,045,542 | 83,448,664 |
| ვალდებულებები და კაპიტალი | | | |
| ვალდებულებები | | | |
| სხვა ვალდებულებები | | 31,548 | 22,858 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 15 | 578,120 | 71,711 |
| საიჯარო ვალდებულებები | 14 | 992,020 | 963,886 |
| მიღებული სესხები | 16 | 61,046,584 | 51,610,630 |
| სუბორდინირებული სესხები | 16 | 5,431,547 | 5,831,805 |
| სულ ვალდებულებები | | 68,079,819 | 58,500,890 |
| კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 17 | 2,569,779 | 2,569,779 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 29,395,944 | 22,377,995 |
| სულ კაპიტალი | | 31,965,723 | 24,947,774 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | | 100,045,542 | 83,448,664 |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“
 საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|------------------------------|-----------------------|-------------------------|-----------------|
| ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს | 2,569,779 | 17,592,388 | 20,162,167 |
| მთლიანი სრული შემოსავალი | - | 4,785,607 | 4,785,607 |
| ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი | 2,569,779 | 22,377,995 | 24,947,774 |
| მთლიანი სრული შემოსავალი | - | 7,017,949 | 7,017,949 |
| ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერი | 2,569,779 | 29,395,944 | 31,965,723 |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

| | შენიშვნა | 2025 | 2024 |
|---|----------|---------------------|---------------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან: | | | |
| მოგება დაბეგვრამდე | | 8,796,371 | 5,985,050 |
| კორექტირებები: | | | |
| სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება | 11 | 14,507 | (50,837) |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | | 363,677 | 341,874 |
| უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული (მოგება) ზარალი, წმინდა | | (360,399) | 421,277 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 6 | (9,971,059) | (7,712,886) |
| | | (1,156,903) | (1,015,522) |
| საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება: | | | |
| გაცემული სესხები | | (15,090,152) | (9,331,365) |
| სხვა აქტივები | | (22,677) | 128,976 |
| საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (კლება): | | | |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 32,638 | 42,837 |
| სხვა ვალდებულებები | | 8,945 | 11,949 |
| საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები პროცენტებამდე და მოგების გადასახადამდე | | (16,228,149) | (10,163,125) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | (1,260,276) | (1,237,280) |
| მიღებული პროცენტი | | 18,142,275 | 14,558,440 |
| გადახდილი პროცენტი | | (8,581,473) | (6,972,039) |
| საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | | (7,927,623) | (3,814,004) |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან: | | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | 13 | (101,645) | (156,310) |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | | (101,645) | (156,310) |
| ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან: | | | |
| სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხების მიღება, წმინდა | | 9,585,759 | 3,807,061 |
| საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა | | (283,805) | (231,368) |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები | | 9,301,954 | 3,575,693 |
| ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება) | | 1,272,686 | (394,621) |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 10 | 2,817,215 | 3,218,539 |
| კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე | | 17,489 | (6,703) |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის | 10 | 4,107,390 | 2,817,215 |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2009 წელს ქუთაისში, საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზირი და წერეთლის ქ. 1/2. კომპანია რეგისტრირებულია ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 212918976.

კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის საფუძველზე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ძვირფასი ლითონით (ოქროთი) უზრუნველყოფილი სესხების გაცემა 200,000 ლარამდე. კომპანია, ასევე, სთავაზობს მომხმარებლებს ფულადი გზავნილებისა და ვალუტის კონვერტაციის მომსახურებას.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა სათავო ოფისი და 11 სერვის ცენტრი, შემდეგ ქალაქებში: ქუთაისში, თბილისში, ფოთში, ზესტაფონში, სამტრედიამში, ზუგდიდსა და სენაკში.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

| მფლობელი | 31 დეკემბერი 2025, % | 31 დეკემბერი 2024, % |
|--------------------|-------------------------|-------------------------|
| გელა რიაზუხა | 37.775% | 58.55% |
| შოთა გედენიძე | 24.45% | 24.45% |
| ხვიჩა სებისკვერაძე | 37.775% | 0.00% |
| გოჩა სებისკვერაძე | 0.00% | 17.00% |
| | 100.00% | 100.00% |

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყავს საბოლოო ბენეფიციარი, რადგანაც სამიდან ორ პირს, რომლებიც ფლობენ კომპანიის წილებს, აქვთ თანაბარი უფლებები და ფლობენ თანაბარ წილს კომპანიაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მაკონტოლებელი წილის მფლობელი იყო გელა რიაზუხა.

კომპანიის საწესდებო კაპიტალის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მე-17 შენიშვნაში.

კომპანიის დირექტორია ქალბატონი თამარ რიაზუხა.

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მიმოხილულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე, გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც პირველად ამოქმედდა 2025 წლის განმავლობაში ზასს 21-ის ცვლილებები – გაცვლადობის არარსებობა

ცვლილებები ადგენს მოთხოვნებს იმ შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლადი სხვა ვალუტაზე კონკრეტული შეფასების თარიღისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლადი, საწარმო ვალდებულია დაადგინოს სპოტ-სავალუტო კურსი შეფასების მეთოდის გამოყენებით.

აღნიშნული ცვლილებების მიღებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

გამოშვებული სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები რომლებიც არ არის ამოქმედებული

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები – ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება

ცვლილებები ითვალისწინებს:

- გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და ჩამოწერის დროის დაზუსტებას, მათ შორის გამონაკლისს ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელიც ივარება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემის მეშვეობით;
- დამატებით განმარტებებსა და მითითებებს ფინანსური აქტივების შეფასებისთვის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმის (SPPI) შესაბამისად;
- ახალ გამყდვანების მოთხოვნებს იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა სახელშეკრულებო პირობები შეიძლება იწვევდეს ფულადი ნაკადების ცვლილებას; და
- ხელშეკრულებით დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მახასიათებლების განმარტებას და თუ როგორ განსხვავდება ისინი არარეგრესული მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივებისგან, ასევე მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს არარეგრესული მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების შეფასებისას („გადახედვის ტესტი“); და
- ცვლილებებს სამართლიან ღირებულებაზე სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში კლასიფიცირებული კაპიტალის ინსტრუმენტების გამყდვანებაში.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესებები – ტომი 11

წლიური გაუმჯობესებები მოიცავს მცირე მასშტაბის ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფასს სტანდარტებში არსებული ტექსტის დაზუსტებას ან შედარებით უმნიშვნელო შეუსაბამობების, შეცდომებისა და წინააღმდეგობების გამოსწორებას. ცვლილებები შეეხება ფასს 1-ს, ფასს 7-ს, ფასს 9-ს, ფასს 10-ს და ზასს 7-ს.

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები – ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერჯის კონტრაქტები

ცვლილებები აზუსტებს „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენებას, ნებადართულს ხდის ჰეჯირების აღრიცხვას შესაბამის შემთხვევებში და შემოაქვს მიზნობრივი გამყდვანების მოთხოვნები. ცვლილებები ვრცელდება იმ კონტრაქტებზე, რომლებიც საწარმოს აყენებს ელექტროენერჯის ფასის ცვალებადობის რისკის წინაშე ბუნებრივი, კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორების გამო.

აღნიშნული ცვლილებები ძალაში შედის წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2026 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. ცვლილებების ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუმცა, გარკვეული იურისდიქციებისთვის ცვლილებების გამოყენებამდე აუცილებელია მათი ოფიციალური დამტკიცება.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ

ბასს 21-ის ცვლილებები – ჰიპერინფლაციური პრეზენტაციის ვალუტაში წარდგენა

ცვლილებები ადგენს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესებს იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს პრეზენტაციის ვალუტა ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტაა, ხოლო ფუნქციური ვალუტა არა. ცვლილებების მიზანია ინფორმაციის სარგებლიანობის გაუმჯობესება და პრაქტიკაში არსებული განსხვავებების შემცირება.

ფასს 18 – ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა და გამჟღავნება

ფასს 18 შემოაქვს ახალი მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების მიმართულებით, მათ შორის:

- მოგება-ზარალის ანგარიშის განახლებული სტრუქტურა და სავალდებულო შუალედური ჯამები;
- ინფორმაციის აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის გამოიყენებული პრინციპები; და
- მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების მაჩვენებლების გამჟღავნების მოთხოვნები.

ფასს 18-ის გამოქვეყნების მიზანია კომპანიების ანგარიშგების შესადარისობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ფასს 18-მა ასევე განაპირობა მცირედი ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფასს 19 – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგაღებულების გარეშე: გამჟღავნება

ფასს 19 უფლებას აძლევს უფლებამოსილ შვილობილ კომპანიებს გამოიყენონ ფასს სტანდარტები შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნებით, აღიარების, შეფასებისა და წარმოდგენის პრინციპების უცვლელად შენარჩუნებით. სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ფასს 19-ის ცვლილებები – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგაღებულების გარეშე: გამჟღავნება

ცვლილებები ამცირებს გამჟღავნების მოთხოვნებს გარკვეული სტანდარტებისა და ცვლილებების მიმართ, მათ შორის ფასს 18-ის, მომწოდებელთა დაფინანსების შეთანხმებების, მეორე სვეტის (Pillar Two) საგადასახადო რეფორმის, ბასს 21-ის გაცვლადობის ცვლილებებისა და ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებების ფარგლებში.

ამ ცვლილებების გამოყენების შემდეგ, ფასს 19 ასახავს IFRS საბუღალტრო სტანდარტებში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შედის ფასს 19-ის ამოქმედების თარიღამდე. შემდგომში ფასს 19 შეიცვლება იმავე დროს, როდესაც გამოიცემა ან გადაიხედება სხვა IFRS საბუღალტრო სტანდარტები.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, განხილულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის შესახებ მითითებული იქნება წინამდებარე ანგარიშგებაში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაინგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| | აშშ დოლარი | ევრო |
|-----------------------------------|------------|--------|
| კურსი 2025 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.6951 | 3.1737 |
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.8068 | 2.9306 |

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღრიცხავს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის სამ მნიშვნელოვან კატეგორიას: ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს, როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის კომპანიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითად თანხის და პროცენტის გადახდას ძირითად თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდურობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას კომპანიამ გაითვალისწინა: როდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ, როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია FVTPL-ში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა, როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ კომპანიამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდურობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც FVTPL, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება (ე.ი. ამოღებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან) მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ECL -ის საფუძვლები

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან FVOCI-ი.

ფასს 9 მოითხოვნი გაუფასურებაზე არ ეხება წილობრივ ინსტრუმენტებს.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შემენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

„მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელი ფასს 9-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავს ფინანსური აქტივის წარმოქმნისთანავე. ფასს 9-ის მიხედვით კომპანია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შექმნის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. კომპანია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვადაგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადანაწილება შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

| უზრუნველყოფის სახე | 1 ეტაპი | მე-2 ეტაპი | მე-3 ეტაპი |
|-----------------------|---------|------------|------------|
| ოქროთი უზრუნველყოფილი | 0-30 | 31-60 | >61 |

კომპანია ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 31 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- სესხის რესტრუქტურირება;
- მესამე მხარის მიერ უზრუნველყოფილ ქონებაზე იურიდიული დავის წამოწყება;
- მსესხებლის, ან თანამსესხებლის მიმართ სარჩელის აღძვრა;
- მსესხებლის მიერ სამუშაო ადგილის დაკარგვა;
- მსესხებლის ბიზნესის დიდი წილის განადგურება;
- ბიზნესის იმ სექტორის მნიშვნელოვანი გაუარესება, სადაც საქმიანობს მსესხებელი.

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

- ვადაგადაცილება არის 0-დან 30 დღემდე;
- იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე.

გადეფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე და მათი დაბრუნება სხვა ეტაპებზე ხდება, თუ მოხდა კრედიტუნარიანობის გაუმჯობესება და დააკმაყოფილა პირველი, ან მეორე ეტაპისთვის წაყენებული პირობები.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 61 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
- უზრუნველყოფის საგნის განადგურება ან დაკარგვა.

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 60 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ. კომპანია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

გაცემული სესხის რესტრუქტურირება

კომპანიისთვის რესტრუქტურირაციის საკითხი არ არის რელევანტური სესხების ბუნებიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

კომპანიის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და

არ არსებობს არასასურველი არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფასურების ზარალი 12 თვიანი PD-დან არსებობის მანძილის PD-ზე გადასვლის დროს.

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

კომპანიამ გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, შეაფასა დეფოლტის ალბათობაზე მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა და ამოღების განაკვეთი.

განალიზდა შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები:

- საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტი;
- ინფლაციის განაკვეთი.
- უმუშევრობის დონე.

საპროგნოზო ინფორმაციის განჭვრეტა

კომპანია ბოლო 5 წლის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით ყოველწლიურად აფასებს დეფოლტის ალბათობის კორელაციას მაკროეკონომიკურ ცვლადებთან (მშპ-ს ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობის დონე) მიმართებაში და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას ითვალისწინებს კონკრეტული მაკროეკონომიკური ცვლადის სცენარების შესახებ არსებულ საპროგნოზო ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციასთან და მშპ-ს ზრდასთან კორელაცია არის 0.3-ზე მეტი და -0.5-ზე ნაკლები, შესაბამისად.

კომპანია იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საბაზო, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს და ამათგან საბაზო სცენარს ანიჭებს 50%-ან ალბათობას, ხოლო ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს 25%-ან ალბათობებს.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონდა ადგილი ძლიერ კორელაციას კომპანიის დეფოლტის კოეფიციენტებსა და მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის, ამიტომ კომპანიას არ აქვს გათვალისწინებული ეს ფაქტორები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების დაანგარიშებისას.

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს ბოლო 5 წლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტატისტიკას ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ 2 წლისა. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის და გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის ერთი კალათიდან მეორე კალათაში გადანაცვლების ალბათობას. მიგრაციის მატრიცა იყოფა შემდეგ კალათებად:

| კალათი | ვადაგადაცილებული დღეები | რესტრუქტურის სტატუსი | ეტაპი |
|--------|-------------------------|----------------------|-------|
| 1 | დახურული | | |
| 2 | 0 | არა | I |
| 3 | 1-30 | არა | I |
| 4 | 31-60 | არა | II |
| 5 | >61 | დიახ | III |

კომპანიის მიერ გაცემულ სესხს დეფოლტის შემთხვევაში უპირობოდ ენიჭება 100%-იანი ალბათობა.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 5 წლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოდინებები წლის ჭრილში.

ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია დაანგარიშდება ყველა სეგმენტისთვის ცალ-ცალკე და გამოიყენება პორტფელის იმ მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს საკრედიტო რისკს დეფოლტის მომენტში. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ დეფოლტი ხდება წლის შუა პერიოდში. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, პროცენტის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

გამოთვლაში ასევე მონაწილეობს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით დათვლილი სესხის წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც ამცირებს არსებული სესხის ბალანსს დეფოლტის დადგომამდე (იგი გამოთვლაში მონაწილეობს იმ შემთხვევაში თუ სესხის საშუალო ვადიანობა აღემატება 12 თვეს). დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის დათვლა ხდება სეგმენტის საშუალო საკონტრაქტო ვადიანობის განმავლობაში, თითოეულ წელს ცალ-ცალკე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლის აღიარება გაუფასურებული სესხებისთვის

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, კომპანია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით).

ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. კომპანიამ შეაფასა რომელი ბიზნეს მოდელი იყო ყველაზე შესაბამისი მისთვის და ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირდა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მულტიპლი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

რეალური ღირებულებით შეფასება

ფასს 7 იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოითხოვს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაშიფვრას. რეალური ღირებულების იერარქია:

- **დონე 1:** მოქმედ ბაზრებზე არსებული იდენტური აქტივების კვოტირებული ფასები;
- **დონე 2:** სხვა, კვოტირებული ფასებისგან განსხვავებული, 1-ელ დონეში შემავალი ინფორმაცია, რომლებზეც შესაძლებელია პირდაპირი (ფასები) ან არაპირდაპირი (ფასებიდან გამომდინარე) გზებით დაკვირვების განხორციელება; და
- **დონე 3:** ინფორმაცია, რომლის გადამოწმება შეუძლებელია ბაზარზე დაკვირვებით.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქიაში ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების კატეგორია განისაზღვრება რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ყველაზე დაბალდონიანი ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები მთლიანად შეფასებულია ამ სამიდან ერთ-ერთი დონით.

სხვა მოთხოვნები

სხვა მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია სხვა აქტივებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს და შეფასებულია არაიან ამორტიზებული ღირებულებით. სხვა მოთხოვნები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და შეზღუდულ ფულს. კომპანია კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისთვის ახდენს ტესტირებას გაუფასურებაზე, დეფოლტის ალბათობისა და თანხის განსაზღვრისთვის.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის გამოიყენება Standard & Poor's-ის მიერ ფინანსური ინსტიტუტისათვის მინიჭებული რეიტინგი და ამ რეიტინგის შესაბამისი დეფოლტის ალბათობა. კომპანია ყოველწლიურად ატარებს ტესტირებას, იმისათვის რომ განსაზღვროს რამდენად ზუსტად ასახავს რეალობას ფასს 9-ის ფარგლებში დათვლილი დეფოლტის ალბათობა და ასევე, ერთი წლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ამისათვის იყენებს მოდელის PD-ის ისტორიულ მონაცემებს. ტესტის შედეგები მიიჩნევა მისაღებად თუ ისტორიული დეფოლტის განაკვეთსა და მოდელის PD-ის შორის სხვაობა არ აღემატება ერთ სტანდარტულ გადახრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია ადგენს გადახრის გამომწვევ მიზეზებს და ამ მიზეზების ბუნების შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს მაკორექტირებელ ქმედებებს.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულად სახსრებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები არ არის არსებითი და არ არის გაშიფრული ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიღებული სესხები და სხვა ვალდებულებები

მიღებული სესხები და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. მათი შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა. აქტივების გამოყენების უფლება მიმდინარე და შესადარისი პერიოდების განმავლობაში იცვითებოდა 2-5 წლის ვადაზე.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით, არსებობის შემთხვევაში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი ხარჯები მიეკუთვნება აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში და ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი აქტივის ღირებულება ჩამოიწერება. რემონტისა და შეკეთების ყველა სხვა დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდის ხარჯად, რომელსაც იგი ეკუთვნის.

ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის ხარჯის დაანგარიშება, ყველა ჯგუფის ძირითადი საშუალებებისთვის ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

| ჯგუფი | მომსახურების ვადა (წელი) |
|-------------------------------------|---|
| შენობები | 20 |
| მიწა | არ ცვდება |
| კომპიუტერული აღჭურვილობა | 5 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5 |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 5 |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | საიჯარო ხელშეკრულების ან შეფასებითი ვადის შესაბამისად |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 5 |

შეკეთებისა და განახლების დანახარჯები აღიარდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებად, მათი გაწვევითანავე, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზების მოთხოვნებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს ძირითადი საშუალებების ნარჩენ ღირებულებებსა და სასარგებლო მომსახურების ვადებს და საჭიროების შემთხვევაში აკორექტირებს მათ.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი. თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

საგადასახადო ვალდებულებები, მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში განსხვავდება მათი საგადასახადო კუთხით შეფასებული ღირებულებისგან.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება შეზღუდულია იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა წარმოიშვას დასაბეგრი მოგება, და მან გაანეიტრალოს სხვაობა საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის.

აქტივის ან ვალდებულების თანხა განისაზღვრება იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებს მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში, და მოსალოდნელია მისი გამოყენება გადავადებული საგადასახადო აქტივის/ვალდებულების დაფარვის მომენტში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შევსებულია კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებას, უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული სერვისის მოცულობასთან.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყონებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება - ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად, მათ შორის ოქროს საბაზრო ფასს. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება - ქვემოთ მოცემულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი;
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კომპანია, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით;
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები - იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

რისკების მართვა ფუნდამენტურია ბიზნესისათვის და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტია კომპანიის ოპერაციებისთვის. კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი;
 - სავალუტო რისკი.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოექმნება რისკები არის შემდეგი:

| | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|--|------------------------------|------------------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 4,107,390 | 2,817,215 |
| გაცემული სესხები | 94,410,873 | 79,136,361 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | 45,048 |
| სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები | 66,478,131 | 57,442,435 |
| საიჯარო ვალდებულებები | 992,020 | 963,886 |

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

კომპანიაში ხდება, როგორც გარე, ასევე შიდა რისკ-ფაქტორების გამოვლენა და მათი მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკების სრული პაკეტის იდენტიფიცირებას და მოკლევადიანი რისკების გადასაჭრელად დაგეგმილი პროცედურების სანდოობის შემოწმებას. გარდა სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკების ანალიზისა, ხელმძღვანელობა აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს საოპერაციო დანაყოფებთან მუდმივი შეხვედრებითა და სხვადასხვა ექსპერტების პროფესიონალურ მოსაზრებებზე დაყრდნობით.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს საერთო მიზანია ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ოქროთი უზრუნველყოფილი სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისოს რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კომპანია იყენებს განსაზღვრულ საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც მოიცავს რისკის მართვის შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- სესხის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი;
- გაცემული სესხების მონიტორინგი;
- უზრუნველყოფის საგნის სარეალიზაციო ფასის ყოველდღიური მონიტორინგი და ოქროს ფასის ცვლილების მუდმივი პროგრამული ცვლილება და ანალიზი;
- ისეთ სესხებთან მუშაობა, რომელთა სახელშეკრულებო პირობები დაირღვა.

სალომბარდო სესხის გაცემისას მოლარე-ოპერატორის (ექსპერტ-შემფასებლის) მიერ ხდება მომხმარებლის მიერ მოტანილი ძვირფასი ლითონების შეფასება და მისი უზრუნველყოფით სესხის თანხის გაცემა. პროცესს ნივთების მიღებიდან თანხის გაცემამდე ერთი და იგივე მოლარე-ოპერატორი (ექსპერტ-შემფასებელი) ასრულებს. უზრუნველყოფის ნივთებზე იქმნება ქისები, რომელთა ინკასაცია ხდება მომსახურე ფინანსურ ინსტიტუტებში. ფინანსური ინსტიტუტების მიერ ხდება ქისებში არსებული უზრუნველყოფის საგნების შეფასება და მათი ავთენტურობის დადგენა. კომპანია პერიოდულად იკვლევს და აანალიზებს უზრუნველყოფის საგნის ბანკისა და უშუალოდ კომპანიის მიერ შეფასებულ ღირებულებას შორის მნიშვნელოვან გადახრებს.

სხვა ფინანსური ინსტიტუტისგან სესხის პორტირების პროცესში ჩართულია სესხის ოფიცერი, ფილიალის მენეჯერი, ფილიალების კოორდინატორი და ოპერაციების დირექტორი. მათ, დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, ევალუატიონით წარმოდგენილ სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაყვანა. მათთვის წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის შემოსავლების, საკრედიტო ისტორიის და უზრუნველყოფის საგნის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. შემდეგ, სესხის მოცულობის მიხედვით, პასუხისმგებელი პირები კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; უზრუნველყოფის ღირებულება და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს. მათ ლიმიტების ფარგლებში აქვთ უფლება მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ.

საკრედიტო რისკის შემცირება ხდება სესხის მატერიალურად ფასეული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე.

კომპანიის გაცემული სესხების პორტფელი ძირითადად უზრუნველყოფილია ოქროთი. შესაბამისად, ოქროს საბაზრო ფასის ცვლილება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს როგორც სესხების პორტფელის მოცულობის, ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას.

ოქროს ფასის ზრდა ზრდის უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას და, კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში, შესაძლოა დადებითად აისახოს კლიენტებისთვის გასაცემი სესხების მოცულობაზე. ამასთან, უზრუნველყოფის ღირებულების ზრდა ამცირებს დანაკარგის მოცულობას დეფოლტის შემთხვევაში, სხვა პირობების უცვლელობის პირობებში. საპირისპიროდ, ოქროს ფასის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს უზრუნველყოფის ღირებულების შემცირება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს უზრუნველყოფის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას, ოქროს ფასის მოსალოდნელ ცვლილებებს, ასევე ისტორიულ მონაცემებს დეფოლტისა და უზრუნველყოფის რეალიზაციის შესახებ. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ოქროს ფასის ცვლილებას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს საკრედიტო რისკის შეფასებისა და უზრუნველყოფის ღირებულების გადახედვას.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მომხმარებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი და მისი საქმიანობის შესწავლა ამცირებს ფინანსური ზარალის რისკს. მონიტორინგს ახორციელებენ კრედიტ ოფიცრები, რომლებიც ხელმძღვანელობასთან არიან ანგარიშგაღებულნი. კომპანია არ იყენებს მონიტორინგის მკაცრად განსაზღვრულ გრაფიკს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ კრედიტ რისკს. საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოადგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|---|----------------------|----------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა) | 1,383,278 | 387,667 |
| გაცემული სესხები | 94,410,873 | 79,136,361 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | 45,048 |
| | 95,794,151 | 79,569,076 |

კომპანიის საკრედიტო განყოფილება აკეთებს გაცემული სესხების ვადაგადაცილების ანალიზს. გაცემული სესხების ვადაგადაცილებასა და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-11 და მე-3 შენიშვნებში.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით. PD-ს გაანგარიშება ხორციელდება სამი წლის საშუალო და შემდეგ 1 წლის მონაცემების დამატებით და საბოლოო PD მიიღება მიგრაციის მატრიცების ექსტრაპოლაციის გამოყენებით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 15% იანი ზრდა/(კლება) საშუალო PD-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 13%-ით, რაც შეადგენს 18/(18) ათას ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 15% იანი ზრდა/(კლება) საშუალო PD-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 13%-ით, რაც შეადგენს 16/(16) ათას ლარს.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD არის სავარაუდო ზარალის მასშტაბი დეფოლტის შემთხვევაში. ორგანიზაცია აფასებს LGD-ს პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით, დეფოლტის გამომწვევი მიზეზების საპირწონედ. LGD მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ ფულადი სახსრების დაბრუნებას. LGD-ს დაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 15% იანი ზრდა/(კლება) საშუალო LGD-ში, რომელიც ასევე მოიცავს ოქროს საბაზრო ფასის ცვლილების ეფექტს, თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 15%-ით, რაც შეადგენს 21/(21) ათას ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 15% იანი ზრდა/(კლება) საშუალო LGD-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 15%-ით, რაც შეადგენს 18/(18) ათას ლარს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთისა (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილების გამო.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოიშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს კომპანიის საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებსა და საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის.

| | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|---|------------------------------|------------------------------|
| სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები | 94,410,873 | 79,136,361 |
| სულ საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | (67,470,151) | (58,406,321) |
| | 26,940,722 | 20,730,040 |

ინფორმაცია საპროცენტო შემოსავლის მომტან აქტივებსა და საპროცენტო ხარჯის წარმომშობ ვალდებულებებზე მოცემულია ლიკვიდურობის რისკის რაოდენობრივ შენიშვნებში.

კომპანია აკეთებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზს.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საპროცენტო შემოსავლის მომტანი ყველა აქტივი და საპროცენტო ხარჯის წარმომშობი ყველა ვალდებულება წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. კომპანია სესხებს გაცემს ქართულ ლარში (აშშ დოლარში სესხები გაიცემოდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2016 წლის მიღებულ გადაწყვეტილებამდე). მიღებული სესხები კი წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ვალუტაში, ასევე აშშ დოლარში და ევროში. ასე რომ, სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

| ფინანსური აქტივები | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სულ |
|--|-------------------|-----------------------|------------------|-------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1,610,403 | 1,154,640 | 1,342,347 | 4,107,390 |
| გაცემული სესხები | 94,282,158 | 128,715 | - | 94,410,873 |
| | 95,892,561 | 1,283,355 | 1,342,347 | 98,518,263 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | |
| სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები | 56,690,284 | 9,278,069 | 509,778 | 66,478,131 |
| საიჯარო ვალდებულებები | 376,710 | 615,310 | - | 992,020 |
| | 57,066,994 | 9,893,379 | 509,778 | 67,470,151 |
| ღია საბალანსო პოზიცია | 38,825,567 | (8,610,024) | 832,569 | 31,048,112 |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

| ფინანსური აქტივები | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სულ |
|--|-------------------|-----------------------|----------------|-------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1,027,996 | 960,977 | 828,242 | 2,817,215 |
| გაცემული სესხები | 78,948,575 | 187,786 | - | 79,136,361 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 45,048 | - | - | 45,048 |
| | 80,021,619 | 1,148,763 | 828,242 | 81,998,624 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | |
| სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები | 47,190,836 | 9,772,844 | 478,755 | 57,442,435 |
| საიჯარო ვალდებულებები | 514,545 | 449,341 | - | 963,886 |
| | 47,705,381 | 10,222,185 | 478,755 | 58,406,321 |
| ღია საბალანსო პოზიცია | 32,316,238 | (9,073,422) | 349,487 | 23,592,303 |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძობელობას აშშ დოლარისა და ევროსთან მიმართებაში ლარის 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო რისკის მგრძობიარობა წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე დამყარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2025 | | 31 დეკემბერი 2024 | |
|------------------------------------|--------------------|------------------|--------------------|------------------|
| | 20% | -20% | 20% | -20% |
| ვალუტის კურსის სენსიტიურობა | | | | |
| დოლარის ეფექტი | (1,722,005) | 1,722,005 | (1,814,684) | 1,814,684 |
| ევროს ეფექტი | 166,514 | (166,514) | 69,897 | (69,897) |
| სულ ნეტო ეფექტი | (1,555,491) | 1,555,491 | (1,744,787) | 1,744,787 |

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როცა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა ერთმანეთს. ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და მათი მისაღები და გასაცემი პროცენტების შესაბამისობა არის ლიკვიდურობის მართვის ფუნდამენტური პრინციპი. როგორც წესი ფინანსური ინსტიტუტებისთვის უჩვეულოა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების სრული შესაბამისობა, რადგან ბიზნეს ტრანზაქციები ხშირად თავის თავში მოიცავს გაურკვეველ პირობებს. შეუსაბამო ლიკვიდურობის პოზიციამ შეიძლება გამოიწვიოს, როგორც გაზრდილი მომგებიანობა, ასევე გაზრდილი ზარალის რისკი.

კომპანია ახორციელებს ლიკვიდურობის მართვას და უზრუნველყოფს, რომ თანხები ყოველთვის იყოს ხელმისაწვდომი და დროულად დაიფაროს ყველა მიმდინარე ფულადი ვალდებულება. ლიკვიდურობის პოლიტიკას მიმოიხილავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. კომპანია ცდილობს მოახდინოს ფინანსური ვალდებულებების დივერსიფიკაცია, რომელიც მოიცავს სესხებს ბანკებისგან, დაკავშირებული მხარეებისგან და დამფუძნებელი ფიზიკური პირებისგან. აღნიშნული დივერსიფიკაცია კომპანიას ესაჭიროება იმისთვის, რათა უმტკივნეულოდ უპასუხოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებს.

ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია რეგულარულად აკონტროლებს სამომავლო ფულად ნაკადებს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესი. ლიკვიდურობის მდგომარეობას აკონტროლებს ფინანსური დეპარტამენტი. ნორმალურ საბაზრო სიტუაციაში ლიკვიდურობის მდგომარეობაზე ინფორმაცია პერიოდულად წარედგინება ხელმძღვანელობას.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2025 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ვალდებულებები | მოთხოვნამდე და 1 თვემდე | 1-12 თვე | 1 წელზე მეტი | სულ |
|--|-------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები | 847,634 | 49,688,387 | 28,030,968 | 78,566,989 |
| საიჯარო ვალდებულებები | 32,567 | 358,239 | 763,382 | 1,154,188 |
| | 880,201 | 50,046,626 | 28,794,350 | 79,721,177 |

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ვალდებულებები | მოთხოვნამდე და 1 თვემდე | 1-12 თვე | 1 წელზე მეტი | სულ |
|--|-------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები | 16,560,075 | 34,900,386 | 13,058,162 | 64,518,623 |
| საიჯარო ვალდებულებები | 29,011 | 319,120 | 646,953 | 995,084 |
| | 16,589,086 | 35,219,506 | 13,705,115 | 65,513,707 |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს 7-ის შესაბამისად ჯგუფს მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზარზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

ფინანსური აქტივების და ვალდებულების რეალური ღირებულება ახლოსაა მათ საბალანსო ღირებულებასთან, გარდა გაცემული სესხებისა. გაცემული სესხების რეალური ღირებულება წარმოდგენილია მე-11 შენიშვნაში.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა;
- კაპიტალთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკისა (სებ) და მსესხებლების მიერ დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- გამოიმუშაოს კომპანიის მფლობელებისთვის თანაბარზომიერი სარგებელი.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს მეწილეებისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კომპანია 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000,000 ლარზე ნაკლები, შესაბამისად.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

| | 2025 | 2024 |
|--|--------------------|--------------------|
| <i>საპროცენტო შემოსავალი გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით:</i> | | |
| გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი | 18,347,795 | 14,598,024 |
| | 18,347,795 | 14,598,024 |
| <i>საპროცენტო ხარჯი:</i> | | |
| ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე | (6,928,468) | (5,573,132) |
| დამფუძნებლებისგან მიღებულ სესხებზე | (1,185,816) | (1,100,970) |
| საიჯარო ვალდებულებების ამორტიზაციიდან | (101,290) | (110,726) |
| იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხებზე | (161,162) | (100,310) |
| | (8,376,736) | (6,885,138) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 9,971,059 | 7,712,886 |

7. სხვა შემოსავალი

| | 2025 | 2024 |
|--|----------------|----------------|
| ვალუტის ვაჭრობით მიღებული მოგება, წმინდა | 484,221 | 607,413 |
| ფულადი გზავნილებიდან მიღებული საკომისიო | 123,576 | 150,457 |
| სხვა | 84,814 | 57,558 |
| | 692,611 | 815,428 |

8. შემოსავალი ჯარიმებიდან და საკომისიოებიდან

| | 2025 | 2024 |
|--------------------------|------------------|------------------|
| ჯარიმა | 1,426,302 | 1,165,204 |
| სესხის გაცემის საკომისიო | 195,329 | 149,436 |
| | 1,621,631 | 1,314,640 |

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

| | 2025 | 2024 |
|---|--------------------|--------------------|
| პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი | (293,038) | (274,230) |
| საბანკო, საკომისიო და საინკასაციო ხარჯი | (185,277) | (154,904) |
| საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი | (155,545) | (144,614) |
| საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯი* | (117,389) | (107,746) |
| კომუნიკაციის ხარჯი | (92,411) | (83,641) |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | (76,409) | (84,277) |
| კომუნალური ხარჯი | (69,149) | (68,258) |
| დაცვის ხარჯი | (31,801) | (30,747) |
| ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯები | (26,083) | (27,108) |
| მოკლევადიანი იჯარის ხარჯი | (23,959) | (16,732) |
| ქონების დაზღვევა | (16,461) | (11,110) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (105,841) | (121,711) |
| | (1,193,363) | (1,125,078) |

*აუდიტორული მომსახურების ხარჯმა 2025 წელს შეადგინა 57,905 ლარი (2024: 56,135 ლარი).

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

| | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|------------------------------------|----------------------|----------------------|
| ფული სალაროში | 2,724,112 | 2,429,548 |
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე | 1,383,278 | 341,565 |
| შეზღუდული ფული | - | 46,102 |
| | 4,107,390 | 2,817,215 |

კომპანიის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

11. გაცემული სესხები

| | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|-----------------------|----------------------|----------------------|
| ძირი | 93,618,500 | 78,519,099 |
| პროცენტი | 933,751 | 735,476 |
| გაუფასურების ანარიცხი | (141,378) | (118,214) |
| | 94,410,873 | 79,136,361 |

გაცემული სესხების რეალური ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 94,431,164 ლარს. სხვაობა საბალანსო და რეალურ ღირებულებას შორის წარმოადგენდა 20,291 ლარს.

გაცემული სესხების რეალური ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 79,258,057 ლარს. სხვაობა საბალანსო და რეალურ ღირებულებას შორის წარმოადგენდა 121,696 ლარს.

გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალში მოსალოდნელ მისაღებ საპროგნოზო ფულად ნაკადებს, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის დაფარვის ვადაზე და კონტრაქტის საკრედიტო რისკზე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | მთლიანი თანხა | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | მთლიანი ECL |
|-------------------------------|-------------------|------------------|-----------------|-----------------|------------------|
| ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები | 94,552,251 | (109,151) | (10,136) | (22,091) | (141,378) |
| | 94,552,251 | (109,151) | (10,136) | (22,091) | (141,378) |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | მთლიანი თანხა | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | მთლიანი ECL |
|-------------------------------|-------------------|-----------------|-----------------|-----------------|------------------|
| ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები | 79,254,575 | (92,589) | (11,860) | (13,765) | (118,214) |
| | 79,254,575 | (92,589) | (11,860) | (13,765) | (118,214) |

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები | მთლიანი თანხა | ECL | წმინდა თანხა | ECL % |
|---------------------------------|-------------------|------------------|-------------------|--------------|
| -არა ვადაგადაცილებული | 89,712,838 | (94,323) | 89,618,515 | 0.11% |
| -30 დღე ვადაგადაცილება | 3,488,461 | (14,828) | 3,473,633 | 0.43% |
| -31-60 დღე ვადაგადაცილება | 688,990 | (10,138) | 678,852 | 1.47% |
| -61-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 661,962 | (22,089) | 639,873 | 3.34% |
| | 94,552,251 | (141,378) | 94,410,873 | 0.15% |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები | მოლიანი თანხა | ECL | წმინდა თანხა | ECL % |
|----------------------------------|-------------------|------------------|-------------------|--------------|
| - არა ვადაგადაცილებული | 74,502,914 | (79,790) | 74,423,124 | 0.11% |
| - 30 დღე ვადაგადაცილება | 3,366,038 | (12,799) | 3,353,239 | 0.38% |
| - 31-60 დღე ვადაგადაცილება | 911,954 | (11,860) | 900,094 | 1.30% |
| - 61-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება | 473,669 | (13,765) | 459,904 | 2.91% |
| | 79,254,575 | (118,214) | 79,136,361 | 0.15% |

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ეტაპი 1 12-თვიანი ECL | ეტაპი 2 სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული | ეტაპი 3 სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული | სულ |
|--|--------------------------|--|--|----------------|
| 1 იანვარი 2025 | 92,589 | 11,860 | 13,765 | 118,214 |
| ახალი გაცემული სესხები | 226,249 | - | - | 226,249 |
| გადატანა პირველ ეტაპზე | 4,582 | (3,389) | (1,193) | - |
| გადატანა მეორე ეტაპზე | (184,784) | 184,784 | - | - |
| გადატანა მესამე ეტაპზე | (2,967) | (198,724) | 201,691 | - |
| დაფარული სესხები | (98,507) | (22,203) | (66,622) | (187,332) |
| წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები | - | - | (8,737) | (8,737) |
| ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები | - | - | 17,394 | 17,394 |
| საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები | 71,989 | 37,808 | (134,207) | (24,410) |
| 31 დეკემბერი 2025 | 109,151 | 10,136 | 22,091 | 141,378 |

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ეტაპი 1 12-თვიანი ECL | ეტაპი 2 სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული | ეტაპი 3 სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული | სულ |
|--|--------------------------|--|--|----------------|
| 1 იანვარი 2024 | 131,700 | 13,997 | 22,239 | 167,936 |
| ახალი გაცემული სესხები | 141,704 | - | - | 141,704 |
| გადატანა პირველ ეტაპზე | 5,939 | (3,855) | (2,084) | - |
| გადატანა მეორე ეტაპზე | (133,277) | 133,277 | - | - |
| გადატანა მესამე ეტაპზე | (7,302) | (128,024) | 135,326 | - |
| დაფარული სესხები | (7,732) | (2,664) | (24,198) | (34,594) |
| წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები | - | - | (12,036) | (12,036) |
| ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები | - | - | 13,151 | 13,151 |
| საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები | (38,443) | (871) | (118,633) | (157,947) |
| 31 დეკემბერი 2024 | 92,589 | 11,860 | 13,765 | 118,214 |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხების მთლიან თანხებში ცვლილება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | |
|--------------------------|-------------------|--|--|-------------------|
| | 12-თვიანი ECL | სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული | სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული | სულ |
| 1 იანვარი 2025 | 77,871,647 | 913,942 | 468,986 | 79,254,575 |
| ახალი გაცემული სესხები | 253,310,299 | - | - | 253,310,299 |
| გადატანა პირველ ეტაპზე | 4,298,186 | (3,179,159) | (1,119,027) | - |
| გადატანა მეორე ეტაპზე | (12,420,988) | 12,420,988 | - | - |
| გადატანა მესამე ეტაპზე | (87,114) | (5,834,987) | 5,922,101 | - |
| დაფარული სესხები | (229,751,864) | (3,631,698) | (4,615,022) | (237,998,584) |
| წლის მანძილზე | - | - | (8,737) | (8,737) |
| ჩამოწერილი სესხები | - | - | - | - |
| საკურსო სხვაობით | (5,227) | (39) | (36) | (5,302) |
| გამოწვეული ცვლილება | | | | |
| 31 დეკემბერი 2025 | 93,214,939 | 689,047 | 648,265 | 94,552,251 |

გაცემული სესხების მთლიან თანხებში ცვლილება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | |
|--------------------------|-------------------|--|--|-------------------|
| | 12-თვიანი ECL | სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული | სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული | სულ |
| 1 იანვარი 2024 | 68,484,901 | 829,085 | 599,220 | 69,913,206 |
| ახალი გაცემული სესხები | 169,094,532 | - | - | 169,094,532 |
| გადატანა პირველ ეტაპზე | 5,545,843 | (3,599,715) | (1,946,128) | - |
| გადატანა მეორე ეტაპზე | (10,270,726) | 10,270,726 | - | - |
| გადატანა მესამე ეტაპზე | (248,628) | (4,358,932) | 4,607,560 | - |
| დაფარული სესხები | (154,741,944) | (2,227,312) | (2,792,827) | (159,762,083) |
| წლის მანძილზე | - | - | (12,036) | (12,036) |
| ჩამოწერილი სესხები | - | - | - | - |
| საკურსო სხვაობით | 7,669 | 90 | 13,197 | 20,956 |
| გამოწვეული ცვლილება | | | | |
| 31 დეკემბერი 2024 | 77,871,647 | 913,942 | 468,986 | 79,254,575 |

ძირითადი ფაქტორები, რომელსაც კომპანია ითვალისწინებს გაცემული სესხების გაუფასურებაში არის მათი ვადაგადაცილების სტატუსი, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და უზრუნველყოფილი აქტივის საიმედოობა, არსებობის შემთხვევაში. გაცემული სესხების გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

გაცემული სესხების სავალუტო ანალიზი მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. გადავადებული საგადასახადო აქტივი

| | 2025 | 2024 |
|---|----------------|----------------|
| 1 იანვარი | 145,480 | 148,175 |
| აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში | | |
| საგადასახადო ხარჯი | (44,375) | (2,695) |
| 31 დეკემბერი | 101,105 | 145,480 |

ფასს-ებსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსს შორის არსებული სხვაობები იწვევს დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისა და საგადასახადო ბაზების მიხედვით არსებულ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის.

დროებითი სხვაობები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | აქტივები | ვალდებულებები | ნეტო | აღიარებული მოგებაში ან ზარალში 2025 |
|---|----------------|------------------|----------------|-------------------------------------|
| | 2025 | 2025 | 2025 | 2025 |
| აქტივების გამოყენების უფლება | - | (161,628) | (161,628) | (15,446) |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 26,358 | - | 26,358 | 10,731 |
| სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები | 37,971 | - | 37,971 | (45,287) |
| საიჯარო ვალდებულებები | 198,404 | - | 198,404 | 5,627 |
| საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება) | 262,733 | (161,628) | 101,105 | (44,375) |
| გადასახადის გადაფარვა | (161,628) | 161,628 | - | - |
| წმინდა საგადასახადო აქტივი | 101,105 | - | 101,105 | (44,375) |

დროებითი სხვაობები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | აქტივები | ვალდებულებები | ნეტო | აღიარებული მოგებაში ან ზარალში 2024 |
|---|----------------|------------------|----------------|-------------------------------------|
| | 2024 | 2024 | 2024 | 2024 |
| აქტივების გამოყენების უფლება | - | (146,182) | (146,182) | (17,613) |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 15,627 | - | 15,627 | (1,827) |
| სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები | 83,258 | - | 83,258 | 3,107 |
| საიჯარო ვალდებულებები | 192,777 | - | 192,777 | 13,638 |
| საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება) | 291,662 | (146,182) | 145,480 | (2,695) |
| გადასახადის გადაფარვა | (146,182) | 146,182 | - | - |
| წმინდა საგადასახადო აქტივი | 145,480 | - | 145,480 | (2,695) |

მოგების გადასახადის ხარჯი შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2025 | 2024 |
|-------------------------------------|--------------------|--------------------|
| მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი | (1,734,047) | (1,196,748) |
| დროებითი სხვაობების ეფექტი | (44,375) | (2,695) |
| | (1,778,422) | (1,199,443) |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

12. გადავადებული საგადასახადო აქტივი (გაგრძელება)

რეკონსილაცია ფაქტიურ და მოსალოდნელ მოგების გადასახადებს შორის:

| | 2025 | 2024 |
|--|--------------------|--------------------|
| მოგება დაბეგრამდე | 8,796,371 | 5,985,050 |
| მოგების გადასახადის პროცენტი | 20% | 20% |
| თეორიული მოგების გადასახადი | (1,759,274) | (1,197,010) |
| მუდმივი სხვაობების წარმოქმნა და ამობრუნება | (19,148) | (2,433) |
| | (1,778,422) | (1,199,443) |

13. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება | მიწა და შენობები | სატრანსპორტო საშუალებები | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | კომპიუტერული და ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები | სულ |
|-------------------------------------|------------------|--------------------------|-------------------------------------|---|--------------------|
| ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს | 465,089 | 45,299 | 286,800 | 985,755 | 1,782,943 |
| მატება | - | - | - | 156,310 | 156,310 |
| კლება | - | (17,200) | - | - | (17,200) |
| ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს | 465,089 | 28,099 | 286,800 | 1,142,065 | 1,922,053 |
| მატება | - | 34,699 | - | 66,946 | 101,645 |
| კლება | - | - | (77,397) | (497,673) | (575,070) |
| ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს | 465,089 | 62,798 | 209,403 | 711,338 | 1,448,628 |
| ცვეთა | | | | | |
| ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს | (222,605) | (28,095) | (239,190) | (780,150) | (1,270,040) |
| მატება | (22,153) | (6,039) | (10,129) | (94,580) | (132,901) |
| კლება | - | 17,200 | - | - | 17,200 |
| ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს | (244,758) | (16,934) | (249,319) | (874,730) | (1,385,741) |
| მატება | (22,153) | (7,991) | (5,485) | (83,917) | (119,546) |
| კლება | - | - | 77,397 | 450,708 | 528,105 |
| ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს | (266,911) | (24,925) | (177,407) | (507,939) | (977,182) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება | | | | | |
| ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს | 220,331 | 11,165 | 37,481 | 267,335 | 536,312 |
| ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს | 198,178 | 37,873 | 31,996 | 203,399 | 471,446 |

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიწა და შენობები არის გამოყენებული ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. იჯარები

კომპანიას იჯარით აღებული აქვს საოფისე და საარქივე ფართები. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იჯარების ვადიანობა განსაზღვრულია 2031 წლამდე. (2024: 2030 წლამდე). იჯარების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი 2025 წლისთვის შეადგენდა წლიურ 7.81%-15.06%-ს იჯარების ვადიანობისა და ვალუტების მიხედვით (2024: წლიურ 7.60%-15.06%-ს).

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | საოფისე ფართები | სხვა | სულ |
|---|--------------------|---------------|----------------|
| 31 დეკემბერი 2023 | 621,082 | 21,761 | 642,843 |
| შემოსვლა | 227,416 | 81,588 | 309,004 |
| გასვლა | - | (25,275) | (25,275) |
| ღირებულების ზრდა სახელშეკრულებო პირობების არსებითი ცვლილების გამო | - | 5,196 | 5,196 |
| ცვეთა | (192,183) | (8,677) | (200,860) |
| 31 დეკემბერი 2024 | 656,315 | 74,593 | 730,908 |
| ღირებულების ზრდა სახელშეკრულებო პირობების არსებითი ცვლილების გამო | 316,580 | - | 316,580 |
| ცვეთა | (223,031) | (16,318) | (239,349) |
| 31 დეკემბერი 2025 | 749,864 | 58,275 | 808,139 |

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | საოფისე ფართები | სხვა | სულ |
|---|--------------------|---------------|----------------|
| 31 დეკემბერი 2023 | 866,897 | 28,799 | 895,696 |
| შემოსვლა | 227,416 | 81,588 | 309,004 |
| გასვლა | - | (27,805) | (27,805) |
| ღირებულების ზრდა სახელშეკრულებო პირობების არსებითი ცვლილების გამო | - | 5,196 | 5,196 |
| საპროცენტო ხარჯი | 105,399 | 5,327 | 110,726 |
| საიჯარო გადასახდელები | (329,145) | (12,949) | (342,094) |
| საკურსო სხვაობა | 13,163 | - | 13,163 |
| 31 დეკემბერი 2024 | 883,730 | 80,156 | 963,886 |
| ღირებულების ზრდა სახელშეკრულებო პირობების არსებითი ცვლილების გამო | 316,580 | - | 316,580 |
| საპროცენტო ხარჯი | 91,765 | 9,525 | 101,290 |
| საიჯარო გადასახდელები | (362,926) | (22,169) | (385,095) |
| საკურსო სხვაობა | (4,641) | - | (4,641) |
| 31 დეკემბერი 2025 | 924,508 | 67,512 | 992,020 |

15. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით. 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულებამ შეადგინა 578,120 ლარი და 71,711 ლარი, შესაბამისად.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები

მიღებული სესხები გამსესხებლების მიხედვით 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|--|------------------------------|------------------------------|
| ფინანსური ინსტიტუტები | 52,628,324 | 44,623,029 |
| დამფუძნებლები | 7,040,785 | 5,979,767 |
| სუბორდინირებული სესხები დამფუძნებლებისგან* | 5,431,547 | 5,817,771 |
| სხვა დაკავშირებული მხარე | 1,377,475 | 1,021,868 |
| | 66,478,131 | 57,442,435 |

* სუბორდინირებული სესხები წარმოდგენილია აშშ დოლარში და ევროში. სესხის ვადები განსაზღვრულია 2026 წლის 1 მარტიდან 2036 წლის 29 დეკემბრის შუალედებში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7% და 12%-ს. გაკოტრების შემთხვევაში აღნიშნული სესხის ძირისა და პროცენტის გადახდები ნაკლებ უპირატესია, ვიდრე სხვა კრედიტორებთან არსებული დავალიანების გადახდა.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სალომზარდე სესხები ღირებულებით 32,491 ათასი ლარი (2024: 29,592 ათასი ლარი) უზრუნველყოფილია გაცემული სესხების მოთხოვნის თანხებით, არაუმეტეს 60,000 ათასი ლარის (2024: არაუმეტეს 60,000 ათასი ლარი) ოდენობით. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მეორე ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები ღირებულებით 20,137 ათასი უზრუნველყოფილია დამფუძნებელთა წილებით და თავდებობებით, კომპანიის კუთვნილი მიწით და მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, მათ შორის, დამფუძნებელთა ოჯახის წევრების ქონებით (2024: 15,031 ათასი ლარი). აღნიშნული ფინანსური გარანტიის კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების კორექტირება, არაარსებითობიდან გამომდინარე.

მიღებული სესხები გამსესხებლებისა და სესხის პირობების მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | დაფარვის თარიღი | საპროცენტო განაკვეთი (%) | ვალუტა | ექვივალენტი ლარში |
|------------------------------------|---------------------------------|-------------------------------------|---------------|------------------------------|
| ფინანსური ინსტიტუტებისგან: | | | | |
| | ივლისი 2026 - თებერვალი 2027 | 14-15 | ლარი | 52,628,324 |
| სხვა დაკავშირებული მხარე: | | | | |
| | მარტი 2026 | 6-7 | აშშ დოლარი | 237,658 |
| | მარტი 2026 - დეკემბერი 2028 | 13-14 | ლარი | 1,139,817 |
| ფიზიკური პირებისგან: | | | | |
| <i>დამფუძნებლები</i> | მარტი 2026 - ივნისი 2042 | 7-12 | აშშ დოლარი | 4,118,642 |
| <i>სუბორდინირებული სესხები</i> | მარტი 2026 - დეკემბერი 2036 | 7-12 | აშშ დოლარი | 4,921,769 |
| <i>სუბორდინირებული სესხები</i> | | 12 | ევრო | 509,778 |
| <i>დამფუძნებლებისგან</i> | აპრილი 2028 | | | |
| <i>დამფუძნებლები</i> | ივლისი 2026 - ნოემბერი 2035 | 14 | ლარი | 2,922,143 |
| | | | | 66,478,131 |
| მათ შორის: | | | | |
| <i>ძირი</i> | | | | 66,186,808 |
| <i>პროცენტი</i> | | | | 291,323 |
| | | | | 66,478,131 |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხები გამსესხებლებისა და სესხის პირობების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | <u>დაფარვის თარიღი</u> | <u>საპროცენტო განაკვეთი (%)</u> | <u>ვალუტა</u> | <u>ექვივალენტი ლარში</u> |
|--|----------------------------------|-------------------------------------|---------------|------------------------------|
| ფინანსური ინსტიტუტებისგან: | | | | |
| | იანვარი 2025 | 12.5-13 | ლარი | 15,030,925 |
| | ივლისი 2025 - სექტემბერი 2025 | 13.25-14.25 | ლარი | 29,592,104 |
| სხვა დაკავშირებული მხარე: | | | | |
| | მარტი 2026 | 7 | აშშ დოლარი | 189,722 |
| | აპრილი 2025 - დეკემბერი 2025 | 11.5-14 | ლარი | 832,146 |
| ფიზიკური პირებისგან: | | | | |
| <i>დამფუძნებლები</i> | იანვარი 2025 - ივნისი 2041 | 7 | აშშ დოლარი | 4,244,106 |
| <i>სუბორდინირებული სესხები</i> | მარტი 2026 - სექტემბერი 2038 | 7-12 | აშშ დოლარი | 5,339,016 |
| <i>დამფუძნებლებისგან სუბორდინირებული სესხები</i> | სექტემბერი 2027- აპრილი 2028 | 12 | ევრო | 478,755 |
| <i>დამფუძნებლებისგან დამფუძნებლები</i> | ივნისი 2025 - სექტემბერი 2027 | 14 | ლარი | 1,735,661 |
| | | | | 57,442,435 |
| მათ შორის: | | | | |
| <i>ძირი</i> | | | | 56,938,830 |
| <i>პროცენტი</i> | | | | 503,605 |
| | | | | 57,442,435 |

კომპანიას გააჩნია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე. კომპანიას აქვს მუდმივი კომუნიკაცია გამსესხებლებთან მოცემულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. 2025 წელს კომპანია შესაბამისობაშია დაწესებულ შეზღუდვებთან. 2024 წელს კომპანია არღვევდა ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხების შეზღუდვას. აღნიშნული სესხების ღირებულება შეადგენდა 15,031 ათას ლარს. აღნიშნული სესხების შეზღუდვების დარღვევა დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან რისკთან, კერძოდ, ფინანსურ ინსტიტუტს შეეძლო მოეთხოვა თანხის დაუყოვნებლივ გადახდა, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნიდა კომპანიის ლიკვიდურობას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ზემოთ ხსენებული სესხები დააკლასიფიცირა მოკლევადიან ვალდებულებებად, რადგან დარღვევებზე პატიების წერილი არ მოუპოვებია. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტი ახდენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ყოველწლიურ მონიტორინგს და კომპანიის განმარტებით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული კოვენანტი უშუალოდ ბანკის მიერ არ ჩაითვალა დარღვეულად.

ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებების ფარგლებში 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას შეუძლია დამატებით ჯამურად 22,670 ათასი ლარის ათვისება. (2024: 20,462 ათასი ლარი).

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ფინანსური ინსტიტუტები | სუბორდინირებული და სხვა დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები | სხვა დაკავშირებული მხარეები | სულ |
|----------------------------|-----------------------|--|-----------------------------|-------------------|
| 31 დეკემბერი 2024 | 44,623,029 | 11,797,538 | 1,021,868 | 57,442,435 |
| ფულადი მოძრაობა | | | | |
| მიღებული სესხები, წმინდა | 7,992,251 | 1,229,190 | 364,318 | 9,585,759 |
| სესხის პროცენტის დაფარვა | (6,915,218) | (1,404,708) | (160,257) | (8,480,183) |
| არაფულადი მოძრაობა: | | | | |
| სესხის პროცენტის დარიცხვა | 6,928,471 | 1,185,816 | 161,159 | 8,275,446 |
| საკურსო სხვაობა | (209) | (335,504) | (9,613) | (345,326) |
| 31 დეკემბერი 2025 | 52,628,324 | 12,472,332 | 1,377,475 | 66,478,131 |

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | ფინანსური ინსტიტუტები | სუბორდინირებული და სხვა დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები | სხვა დაკავშირებული მხარეები | სულ |
|----------------------------|-----------------------|--|-----------------------------|-------------------|
| 31 დეკემბერი 2023 | 41,211,122 | 11,491,572 | 604,980 | 53,307,674 |
| ფულადი მოძრაობა | | | | |
| მიღებული სესხები, წმინდა | 3,508,735 | (109,709) | 408,035 | 3,807,061 |
| სესხის პროცენტის დაფარვა | (5,668,622) | (1,093,372) | (99,319) | (6,861,313) |
| არაფულადი მოძრაობა: | | | | |
| სესხის პროცენტის დარიცხვა | 5,573,132 | 1,100,970 | 100,310 | 6,774,412 |
| საკურსო სხვაობა | (1,338) | 408,077 | 7,862 | 414,601 |
| 31 დეკემბერი 2024 | 44,623,029 | 11,797,538 | 1,021,868 | 57,442,435 |

17. საწესდებო კაპიტალი

| მეწილეები | % | 31 დეკემბერი 2025 | % | 31 დეკემბერი 2024 |
|--------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
| გელა რიაზუხა | 37.775% | 970,734 | 58.55% | 1,504,606 |
| შოთა გედენიძე | 24.45% | 628,311 | 24.45% | 628,311 |
| გოჩა სებისკვერაძე | 0.00% | - | 17.00% | 436,862 |
| ხვიჩა სებისკვერაძე | 37.775% | 970,734 | 0.00% | - |
| | 100.00% | 2,569,779 | 100.00% | 2,569,779 |

2025 წელს საწესდებო კაპიტალში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, ხვიჩა სებისკვერაძეს გადაეცა გოჩა სებისკვერაძის წილი, ასევე გელა რიაზუხას წილიდან ხვიჩა სებისკვერაძის მიერ მოხდა ნაწილის შესყიდვა. 2024 წელს საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ განხორციელებულა. 2025 და 2024 წლის განმავლობაში კომპანიას არ გაუნაწილებია მოგება.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

18. პოტენციური ვალდებულებები

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში აქვს სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან კომპანიის მომავალ ოპერაციებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები

2018 წელს სებ-მა დაამტკიცა რეგულაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის შესახებ.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით კომპანია აკმაყოფილებს სებ-ის რეგულაციებს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა დაკ (დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი) კოეფიციენტისა. დაკ-ის ვერ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით კომპანიამ მიიღო ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობა, რომლის მიხედვითაც დაკ-ის რეგულაციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად მას მიეცა შეღავათი არაუგვიანეს 2026 წლის 30 სექტემბრისა, იმ პირობით, რომ აღნიშნულ პერიოდამდე ორგანიზაციის დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი არ გადააჭარბებს 160%-ს. კანონმდებლობის შესაბამისად დაკ-ის ზღვრული მაჩვენებელი კომპანიისთვის განსაზღვრულია, როგორც არაუმეტეს 90%-ისა. აღნიშნულთან დაკავშირებით კომუნიკაცია სებ-თან განახლდა 2026 წლის მარტში, დამატებითი დეტალები იხილეთ მე-20 შენიშვნაში.

ხელმძღვანელობა მუშაობს აღნიშნული კოეფიციენტის დაკმაყოფილებაზე სებ-ის ზედამხედველობით და მათი შეფასებით, არ არის მოსალოდნელი, რომ კომპანიას დაეკისრება სანქციები აღნიშნულთან დაკავშირებით.

რეგულაციების დაკმაყოფილების შესახებ მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს, რომელიც შეიცავს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე და შეიძლება განსხვავდებოდეს მარეგულირებლის მსჯელობისაგან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციისგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებებზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

სესხის შეზღუდვებთან შესაბამისობა

მიღებულ სესხებთან დაკავშირებით კომპანიას მოეთხოვება გარკვეული შეზღუდვების დაკმაყოფილება. აღნიშნულ შეზღუდვებთან შეუსაბამობა კომპანიისთვის შესაძლოა იყოს უარყოფითი შედეგების მომტანი, რაც გამოიწვევს მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდას და ფუნქციონირებადობის პრობლემებს. კომპანია 2025 წელს შესაბამისობაშია დაწესებულ შეზღუდვებთან. კომპანია 2024 წელს ვერ აკმაყოფილებდა ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების შეზღუდვებს ღირებულებით 15,031 ათასი ლარი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-16 შენიშვნა.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი შშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ანგარიშგების არე | შენიშვნა | დამფუძნებლები | სხვა დაკავშირებული მხარეები | სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლისთვის |
|--|----------|---------------|-----------------------------|---------------------------------------|
| სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები | 16 | 12,472,332 | 1,377,475 | 66,478,131 |
| საპროცენტო ხარჯი | 6 | (1,185,816) | (161,159) | (8,376,736) |
| საიჯარო ვალდებულება | 14 | (167,473) | - | (992,020) |

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფინანსური ანგარიშგების არე | შენიშვნა | დამფუძნებლები | სხვა დაკავშირებული მხარეები | სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლისთვის |
|--|----------|---------------|-----------------------------|---------------------------------------|
| სუბორდინირებული და სხვა მიღებული სესხები | 16 | 11,797,538 | 1,021,868 | 57,442,435 |
| საპროცენტო ხარჯი | 6 | (1,100,970) | (100,310) | (6,885,138) |
| საიჯარო ვალდებულება | 14 | (358,707) | - | (963,886) |

ღირექტორების და ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 2025 | 2024 |
|---|-----------|-----------|
| უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო: | | |
| - მოკლევადიანი გასამრჯელო, რომელიც მოიცავს ხელფასებსა და ბონუსებს | (268,436) | (226,544) |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ, 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით დაირღვა დაკოეფიციენტის 160%-იანი ზღვარი და შეადგინა 171.9%, რომელიც კომპანიის ახსნით განპირობებულია ბოლო პერიოდში ოქროს საერთაშორისო ფასის მნიშვნელოვანი ზრდით. აღნიშნული კოეფიციენტი 2026 წლის 30 აპრილის მდგომარეობით შესაბამისობაშია დაწესებულ 160%-იან ზღვართან. აღნიშნულ საკითხზე კომპანიას ჰქონდა კომუნიკაცია მარეგულირებელთან და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული კოეფიციენტი დაირღვა მოკლევადიანად და შემდეგ თვეში მოყვანილია შესაბამისობაში, მარეგულირებლის მიერ არ მომხდარა დამატებითი ზომების მიღება. კომპანიისთვის 2026 წლის 30 სექტემბრამდე კვლავ მოქმედებს 160%-იანი ზღვარი.

საანგარიშგებო წლის შემდეგ კომპანიამ გაზარდა ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტის გენერალური საკრედიტო ხაზის ლიმიტი 20 მილიონიდან 40 მილიონ ლარამდე.

კომპანიამ გააფორმა ოთხი ახალი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, რომელთა ჯამური ლიმიტი შეადგენს 28.1 მილიონ ლარს. ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის აღნიშნული საკრედიტო ხაზებიდან ათვისებული იყო 21.6 მილიონი ლარი.

ამავე პერიოდში კომპანიამ ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტისგან მიიღო ახალი 2 მილიონი ლარის ოდენობის სესხი, რომლის დაფარვის ვადა განსაზღვრულია 2027 წლის ოქტომბრით.

კომპანიამ, აგრეთვე, გააფორმა ახალი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება ერთ-ერთ დამფუძნებელთან 50,000 აშშ დოლარის ლიმიტით. ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის აღნიშნული საკრედიტო ხაზიდან ათვისებული იყო 41,476 ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2028 წლის იანვრამდე.

საანგარიშგებო წლის შემდეგ კომპანიამ სხვა დაკავშირებულ მხარესთან გააფორმა ახალი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 1,000,000 ლარის ლიმიტით. ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის აღნიშნული საკრედიტო ხაზიდან ათვისებულია იყო 278,000 ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2031 წლის თებერვლამდე.

კომპანიამ, ასევე, სხვა დაკავშირებულ მხარესთან გააფორმა ახალი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 400,000 ლარის ლიმიტით. ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის აღნიშნული საკრედიტო ხაზიდან ათვისებული იყო 154,500 ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2027 წლის მარტი.



შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

| | |
|--|----|
| 1. შესავალი..... | 47 |
| 2. ორგანიზაციის შესახებ..... | 47 |
| 3. ორგანიზაციის განვითარების გეგმები..... | 48 |
| 4. გეოგრაფიული არეალი და ინფორმაცია ორგანიზაციის ფილიალების საქმიანობის შესახებ..... | 49 |
| 5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა..... | 50 |
| 6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები | 51 |
| 7. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შექმნა..... | 52 |
| 8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები..... | 52 |
| 9. თანამშრომლები და სხვა სოციალური საკითხები..... | 55 |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. შესავალი

შპს „მისო სმარტ ფინანსი“ (შემდგომში „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის აღწერას, ორგანიზაციაში მოქმედ მომსახურების სტანდარტებს, ინფორმაციას მისი სტრუქტურის, განვლილი გზისა და დასახული მიზნების შესახებ; დოკუმენტში მოცემულია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და ძირითადი რისკები, რასაც ხელმძღვანელი პირები არსებითად მიიჩნევენ სუბიექტის საქმიანობის განვითარების, მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივებისთვის.

2. ორგანიზაციის შესახებ

შპს „მისო სმარტ ფინანსი“ საფინანსო მომსახურების ბაზარზე საქმიანობს 2009 წლიდან. ჩვენი მიზანია კლიენტებს შევთავაზოთ დახვეწილი და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურება, ყოველთვის საუკეთესო პირობებით.

თავდაპირველად კომპანია წარმოდგენილი იყო ერთი ფილიალით ქ. ქუთაისში, თუმცა ფილიალების ქსელი სწრაფად გაფართოვდა და ახლა კომპანიას გააჩნია თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოწყობილი 11 ფილიალი და სათავო ოფისი (2024: 11 ფილიალი და სათავო ოფისი).

2010 წლის სექტემბერში კომპანიამ რეგისტრაცია გაიარა საქართველოს ეროვნულ ბანკში და მიენიჭა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი.

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა სალომბარდო სესხების გაცემაა. შპს „მისო სმარტ ფინანსი“ მომხმარებელს სთავაზობს სწრაფ და ხარისხიან ფინანსურ მომსახურებას. ორგანიზაციაში მოქმედი პროდუქტებია: სალომბარდო სესხები, სამომხმარებლო სესხები, ვალუტის გაცვლა, გზავნილები, კომუნალური გადახდები.

შპს „მისო სმარტ ფინანსი“ თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სებ”).

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო. თითოეული ფილიალის ყოველდღიური საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო. 2025 წელს საწესდებო კაპიტალში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, ხვიჩა სეზისკვერამეს გადაეცა გოჩა სეზისკვერამის წილი, ასევე გელა რიაზუხას წილიდან ხვიჩა სეზისკვერამის მიერ მოხდა ნაწილის შესყიდვა.

ა) ორგანიზაციის მისია, მიზნები და ამოცანები

ჩვენი მისია: დახვეწილი, სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების გზით ხელი შევუწყოთ მომხმარებლებს გაიუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა და ოპერატიულად მოაგვარონ პრობლემები.

ჩვენი მიზანია: გავხდეთ, სტაბილურად მზარდი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და გავხსნათ ახალი ფილიალები ისეთ ქალაქებში, სადაც ნაკლებად ხელმისაწვდომია ფინანსური მომსახურება. ასევე, დავნერგოთ ახალი პროდუქტები და ელექტრონული სერვისები.

ჩვენი ამოცანა: გამჭვირვალე სისტემის შექმნის, პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესების, სწრაფი და მოქნილი, ხარისხიანი მომსახურების გზით უფრო მეტად მარტივი და მოქნილი გავხადოთ მომსახურების პროცესი.

ბ) ორგანიზაციის ღირებულებები

ვაცნობიერებთ რა ჩვენს როლს მიკროსაფინანსო სექტორში, ჩვენს საქმიანობაში ვეყრდნობით ისეთ ღირებულებებს, როგორცაა:

პასუხისმგებლობა - პასუხისმგებლიანი მომსახურება, რაც მიზნად ისახავს პასუხისმგებლობას მომხმარებელთა, თანამშრომელთა, ბიზნეს პარტნიორთა, საზოგადოებისა და გარემოს წინაშე;

გამჭვირვალობა - მომხმარებელს საშუალება აქვს შეადაროს ჩვენი ფასები და პირობები და გაეცნოს მოსალოდნელ საფრთხეებს. კომპანიის ურთიერთობა მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან და საზოგადოებასთან ეფუძნება გამჭვირვალობის, გულწრფელობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

პარტნიორობა - გრძელვადიანი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა მომხმარებლებთან და კომპანიებთან, რომელთა მომსახურებითაც სარგებლობს კომპანია. პარტნიორებთან ურთიერთობისას კომპანია მაქსიმალურად ითვალისწინებს მათ ინტერესებს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

2. ორგანიზაციის შესახებ (გაგრძელება)

ხელმისაწვდომობა - წარმოადგენს არსებითად მნიშვნელოვან ფაქტორს პროდუქტების შემუშავებისა და მიწოდების არხების შერჩევის დროს.

გ) კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

1. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ;
2. საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ;
3. ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი;
4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი.

3. ორგანიზაციის განვითარების გეგმები

- კლიენტთა მომსახურების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვა:
 - სამუშაო ჯგუფის ფუნქციონირება, რომელშიც გაწევრიანებულია ყველა ფილიალის თითო წარმომადგენელი. რეგულარულად შეკრება, ფილიალებში, მომსახურებისას დაშვებული ხარვეზების ერთად განხილვა, მათ აღმოსაფხვრელად გზების დასახვა, განხორციელება და კონტროლი;
 - შემთხვევითი შერჩევის პრინციპით კლიენტებთან დაკავშირება და გამოკითხვა რამდენად კმაყოფილი არიან ჩვენი მომსახურებით. მოხდება პასუხების ჩანიშვნა და ხარვეზების დაფიქსირების შემთხვევაში მათზე მუშაობა;
 - ოპერატორების პერიოდული გამოკითხვა, რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორი ხომ არ არსებობს, რაც გავლენას ახდენს მომსახურების პროცესზე;
 - მომსახურების პროცესის პერიოდული მონიტორინგი, შედეგების შეჯამება და ხარვეზების აღმოფხვრა.
- ფილიალების ეფექტურობის შეფასება და ნაკლებად ეფექტური ფილიალების დახურვა კომპანიის საერთო ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით;
- უკანონო შემოსავლის და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ღონისძიებების და პროცედურების გაუმჯობესება:
 - გარე აუდიტორი კომპანიის მოწვევა და AML აუდიტის ჩატარება;
 - AML კონსულტანტისგან მიღებული რეკომენდაციების შესრულება და მუდმივი კონტროლი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების დაცვა, კომპანიის შესაბამისი ფინანსური კოეფიციენტების უზრუნველყოფა. კერძოდ, ლიკვიდურობის კოეფიციენტის (ლკ) შენარჩუნება 18%-ზე ზემოთ, კაპიტალის კოეფიციენტის (კკ) 18%-იანი მოთხოვნის დაცვა, დაგირავებული აქტივების კოეფიციენტის (დაკ) შემცირებისკენ მიმართული დინამიკის შენარჩუნება;
- ვალდებულებების მნიშვნელოვანი დივერსიფიკაცია და მოზიდული ფინანსური რესურსების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი შემცირება;
- კომპანიის ვებ-პორტალის (კლიენტის კაბინეტის) ფუნქციონალის გაუმჯობესება;
- ვებ-პორტალზე საბარათე და ონლაინ-გადახდების დანერგვა;
- კომპანიის ჩართვა სწრაფი გადახდების ExpressPay სისტემაში;
- კომპანიის შიდა ბუღალტერიის ინტეგრაცია თიბისი ბანკის და საქართველოს ბანკის საბანკო გატარებების API მოდულებთან, რაც შეამცირებს ბუღალტრული განყოფილების დატვირთულობას და შეცდომის რისკებს;
- ელექტრონული ხელმოწერების მოდულის ინტეგრაცია სასესხო ხელშეკრულებებისთვის;
- ქოლცენტრის ონლაინ AI ასისტენტის დანერგვა.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)



4. გეოგრაფიული არეალი და ინფორმაცია ორგანიზაციის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს „მისო სმარტ ფინანსი“ მომხმარებლებს ემსახურება საქართველოს 7 ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ზესტაფონი, სამტრედია, ზუგდიდი, სენაკი და ფოთი.



კომპანიას 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია სათავო ოფისი და 11 ფილიალი. სათავო ოფისი მდებარეობს საქართველოში, მისამართზე - ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის 58ა.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს მისო „სმარტ ფინანსს“ ჰყავდა 26,540 აქტიური მსესხებელი, რომლებიც ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: 12,998 მსესხებელი ეკუთვნის ორგანიზაციის ქუთაისის ფილიალს, 1,008 მსესხებელი - თბილისს, 3,452 მსესხებელი - ზესტაფონს, 1,116 - სამტრედიას, 3,886 - ფოთს, 1,241 - ზუგდიდს, 2,839 - სენაკს.



2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს მისო „სმარტ ფინანსს“ ჰყავდა 27,434 აქტიური მსესხებელი, რომლებიც ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: 13,463 მსესხებელი ეკუთვნის ორგანიზაციის ქუთაისის ფილიალს, 1,138 მსესხებელი - თბილისს, 3,404 მსესხებელი - ზესტაფონს, 1,276 - სამტრედიას, 4,115 - ფოთს, 1,187 - ზუგდიდს, 2,851 - სენაკს.



ფილიალების მიხედვით მსესხებლების განაწილებისას კი გვაქვს შემდეგი სურათი:



რაც შეეხება გაცემული სესხების მოცულობას, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 93,618,500 ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი ძირი შეადგენდა 78,519,099 ლარს, რაც ფილიალების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:



5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით კომპანიაში რამდენიმე სახის ღონისძიება ჩატარდა, რომლის მიზანიც იყო თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და შესაბამისად მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. კერძოდ,

1. კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიზნით პერიოდულად ტარდებოდა დისტანციური გამოკითხვები, რაც მოიცავდა ყველა იმ სტანდარტსა, თუ პროცედურას, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის პროდუქტებსა, თუ მომსახურების პროცესთან; 2025 წლის ბოლოს ასევე ჩატარდა საკვალიფიკაციო ტესტირება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კომპანიის ყველა მენეჯერმა და მოლარე-ოპერატორმა.
2. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა და სისტემატიურად ტარდებოდა ზეპირი გამოკითხვა AML პოლიტიკის საკითხებზე. გამოკითხვის მიზანი იყო მაქსიმალური ინფორმაცია გვერდითი კლიენტებისა და მათი საქმიანობის შესახებ, იმისათვის, რომ ჩართული ვიყოთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში. ასევე, საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის სპეციალურად შემუშავდა ტესტები AML საკითხებზე.
3. პერიოდულად, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხდებოდა თანამშრომლებისა და კლიენტების ურთიერთობის პროცესზე დაკვირვება და აღმოჩენილი ნაკლოვანებების განხილვა ამ თანამშრომლებთან ერთად;
4. პერიოდულად ხდებოდა ბაზრის მოკვლევა და კომპანიაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება (სავალუტო კურსი, ოქროს შეფასება და ა.შ.);
5. ოპერატორები მაქსიმალურად ეხმარებოდნენ კლიენტებს კომპანიის ვებ-პორტალზე რეგისტრაციასა და მოხმარების წესების გარკვევაში;
6. თანამშრომელთა სამუშაო ადგილისა და პირობების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მთავარ სურვილად ანაზღაურების მომატება დასახელდა. კომპანიის მენეჯმენტმა განიხილა აღნიშნული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება ხელფასების ზრდისა და სტაჟის მიხედვით ანაზღაურების დიფერენცირების თაობაზე.
7. გვაქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სამსახურთან, მოხდა ამ კუთხით ფილიალების კონტროლი, ნაკლოვანებების აღმოფხვრა. სისტემატიური პერიოდულად ტარდება ფილიალების მონიტორინგი შრომის პირობების კონტროლის თვალსაზრისით შრომის უსაფრთხოების თანამშრომლებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ. მონიტორინგის პროცესი ფორმდება დოკუმენტურად და ხდება მისი თანამშრომლებისათვის მიწოდება და გაცნობა;
8. დაიხვეწა მოტივაციის სისტემა, რაც აისახა თანამშრომლების მუშაობასა და მომსახურების ხარისხზე;
9. გვაქვს, ასევე, ხელშეკრულება პერსონალური ინფორმაციის დაცვის კუთხით და მათთან მუდმივი თანამშრომლობის გზით ყოველთვის კანონთან შესაბამისობაში ვართ.
10. მუდმივად მიმდინარეობს HR პროგრამის დახვეწა და სრულყოფა იმისთვის, რომ გამარტივდეს თანამშრომელთა პირადი საქმეების მართვა, მათი სამუშაო გრაფიკების შედგენა, ტაბელისა და ხელფასების მომზადება და ა.შ.

ხარისხის მართვის მთავარი მიზნები:

- გაამყაროს კლიენტების ლოიალურობა: შესთავაზოს მომხმარებლებს ისეთი მომსახურება/პროდუქტი, რომელიც აჭარბებს მათ მოლოდინს;
- მოიზიდოს და შეინარჩუნოს ახალი კლიენტები;
- გახადოს ორგანიზაციის პროცესები უფრო ეფექტური და შეამციროს არასასურველი დანახარჯები (როგორც ადამიანური, ასევე დროითი და ფულადი რესურსები);
- ააწყოს გრძელვადიანი და წარმატებული ურთიერთთანამშრომლობა მომხმარებელსა და ორგანიზაციას შორის;
- ხელი შეუწყოს კორპორატიული კულტურის გამყარებას.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა (გაგრძელება)

იმისათვის რომ იყო წარმატებული, უნდა იყო საუკეთესო. იყო საუკეთესო ნიშნავს მომხმარებელმა გალიაროს საუკეთესოდ - კომპანიაში იგრძნოს თავი კომფორტულად და მიიღოს ზუსტად ის, რაც სჭირდება. როდესაც ბაზარზე არსებული კომპანიების უმრავლესობა კლიენტს იდენტურ პროდუქტს ან სერვისს სთავაზობს, მომსახურების მაღალი ხარისხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და კომპანიის ერთადერთ კონკურენტულ უპირატესობად იქცევა. შესაბამისად თანამშრომელმა ხარისხიანი მომსახურებით უნდა „იბრძოდეს“ ყოველი კლიენტისთვის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კომპანიას აქვს შემუშავებული საკუთარი აპლიკაცია, სადაც კლიენტს აქვს პირადი კაბინეტი და ერთ სივრცეში შეუძლია იხილოს ყველაფერი: მისი სესხები, ქისები, დანაზოგები, გზავნილები, შეტყობინებები. ასევე შეუძლია ნახოს კომპანიაში არსებული ოქროს შეფასებები, ვალუტის კურსები ფილიალების მიხედვით, კომპანიის ფილიალების განლაგება ქალაქების მიხედვით. მომხმარებელს კომპანიაში არსებული დავალიანების გასასწორებლად შეუძლია ისარგებლოს სწრაფი გადახდის აპარატებით, ინტერნეტბანკითა და თიბისი ბანკის ფილიალებით. კომპანიის ცენტრალიზებული სისტემა კი საშუალებას აძლევს მომხმარებელს ნებისმიერ ფილიალში მიიღოს ინფორმაცია საკუთარი სესხების, ქისებისა თუ გზავნილების შესახებ და შესაბამისად გადაიხადოს, ან მიიღოს შესაბამისი თანხები.

6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

| | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|--|------------------------------|------------------------------|
| სულ აქტივები | 100,045,542 | 83,448,664 |
| სულ ვალდებულებები | 68,079,819 | 58,500,890 |
| მიღებული სუბორდინირებული და სხვა სესხები | 66,478,131 | 57,442,435 |
| საიჯარო ვალდებულებები | 992,020 | 963,886 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 578,120 | 71,711 |
| სხვა ვალდებულებები | 31,548 | 22,858 |
| სულ კაპიტალი | 31,965,723 | 24,947,774 |
| გაუნაწილებელი მოგება | 29,395,944 | 22,377,995 |
| საპროცენტო შემოსავალი | 18,347,795 | 14,598,024 |
| საპროცენტო ხარჯი | (8,376,736) | (6,885,138) |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

მთლიანი აქტივების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო საკრედიტო პორტფელის გაფართოებით. პორტფელის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ოქროს საბაზრო ფასის ზრდამ, რამაც გაზარდა უზრუნველყოფის ღირებულება და, შესაბამისად, კლიენტებისთვის ხელმისაწვდომი საკრედიტო ლიმიტები, რაც დადებითად აისახა გაცემების მოცულობაზე.

ოქროს ფასის შემცირება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს უზრუნველყოფის დაფარვის მაჩვენებელზე. აღნიშნულმა, თავის მხრივ, შეიძლება გაზარდოს საკრედიტო რისკი და გამოიწვიოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზრდა, რაც ნეგატიურად აისახება პორტფელის ხარისხსა და ფინანსურ შედეგებზე.

7. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2025 და 2024 წლებში არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მისი მიზანია შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, კომპანიაში საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- * საკრედიტო რისკი;
- * ლიკვიდობის რისკი;
- * საბაზრო რისკი:
 - * სავალუტო რისკი;
 - * საპროცენტო განაკვეთის რისკი.

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისი რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კომპანია იყენებს განსაზღვრულ საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც მოიცავს რისკის მართვის შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- სესხის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი;
- გაცემული სესხების მონიტორინგი;
- ისეთ სესხებთან მუშაობა, რომელთა სახელშეკრულებო პირობები დაირღვა.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

სესხის გაცემის პროცესში ჩართულია სესხის ოფიცერი, ფილიალის მენეჯერი, საჭიროების შემთხვევაში სესხის ლიმიტის ზრდის გამო ფილიალების კოორდინატორი და ოპერაციების დირექტორი. მათ, დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, ევალებათ წარმოდგენილ სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაყვანა. მათთვის წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის შემოსავლების, საკრედიტო ისტორიის და უზრუნველყოფის საგნის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. შემდეგ, სესხის მოცულობის მიხედვით, პასუხისმგებელი პირები კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; უზრუნველყოფის ღირებულება და ა.შ.) ავსებენ სესხის განაცხადს. მათ, ლიმიტების ფარგლებში, აქვთ უფლება მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ.

კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის შემოსავლებისა და უზრუნველყოფის საგნის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. შედეგად, კომიტეტის წევრები კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; უზრუნველყოფის ღირებულება და ა.შ.) ავსებენ სესხის განაცხადს.

ასევე, საკრედიტო რისკის შემცირება ხდება სესხის მატერიალურად დასრულებული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე.

გარდა ამისა, კომპანიის საკრედიტო განყოფილება რეგულარულად აკეთებს სესხების ვადიანობის ანალიზს. გაცემული სესხების ვადაგადაცილებასა და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-11 და მე-3 შენიშვნაში.

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი.** საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოიშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ.

2025 წლის პერიოდში კომპანიის ყველა საპროცენტო განაკვეთის მატარებელ აქტივსა და ვალდებულებას გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. მათ შორის საბანკო ვალდებულებებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს.

- **სავალუტო რისკი** წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში ნომინირებული როგორც აქტივები, ისე ვალდებულებები. მიმდინარე წლის განმავლობაში მიღებული აქვს მოგება საკურსო სხვაობიდან. ვალუტის კურსთან დაკავშირებით სენსიტიურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში.
- **ლიკვიდობის რისკი** არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

კომპანია ახორციელებს ლიკვიდურობის მართვას და უზრუნველყოფს, რომ თანხები ყოველთვის იყოს ხელმისაწვდომი და დროულად დაიფაროს ყველა მიმდინარე ფულადი ვალდებულება. კომპანია ცდილობს მოახდინოს ფინანსური ვალდებულებების დივერსიფიკაცია, რომელიც მოიცავს სესხებს ბანკებისგან, დაკავშირებული მხარეებისგან და ფიზიკური პირებისგან. აღნიშნული დივერსიფიკაცია კომპანიას ესაჭიროება იმისთვის, რათა უმტკივნეულოდ უპასუხოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებს.

ასევე, ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია რეგულარულად აკონტროლებს სამომავლო ფულად ნაკადებს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესი.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა;
- უზრუნველყოს ეროვნული ბანკის რეგულაციებისა და კრედიტორების შეზღუდვების დაცვა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კომპანია თანხვედრაშია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ საწესდებო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებთან.

კონკურენცია – ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია ისეთი მომსახურებით რასაც შპს „მისო სმარტ ფინანსი“ სთავაზობს თავის მომხმარებლებს. ამიტომ კომპანია ცდილობს, ყოველთვის მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც დადებით გავლენას მოახდენს ორგანიზაციის გაყიდვებზე.

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა – პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მუშაობაზე. შესაბამისად, მსგავსი რისკები ყოველთვის გასათვალისწინებელია ყველა ქვეყანაში, მითუმეტეს საქართველოში.

ინფორმაციული უსაფრთხოება – დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს პირველ რიგში წარმოადგენს საფინანსო სექტორი. შპს „მისო სმარტ ფინანსი“ დაცვის მექანიზმები მოიცავს როგორც შიდა ქსელის დაცვას გარე ზემოქმედებისგან, ისე სენსიტიური ინფორმაციის გაყონვას ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის მეშვეობით კონტროლდება ყოველი მოვლენა, რაც ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვან მოწყობილობებზე და თანამშრომელთა პერსონალურ კომპიუტერებზე. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ტარდება თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებელი კონსულტაციები, ამას გარდა ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია მკაცრად გაწერილი ინსტრუქციებით, როგორ მოიქცეს ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში. ორგანიზაციაში დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები, რომლებითაც ხდება სამუშაო პროცესის კონტროლი.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა – შპს „მისო სმარტ ფინანსი“ იცავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის უმაღლეს სტანდარტებს. მენეჯმენტისა და თანამშრომლებისაგან ითხოვს ამ სტანდარტების დაცვას, რათა კომპანიის პროდუქტები და მომსახურება არ იქნას გამოყენებული ფულის გათეთრებისა და/ან ტერორიზმის დაფინანსებისათვის.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შიდა პოლიტიკით განსაზღვრული სტანდარტები ემყარება შესაბამის საკანონმდებლო და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე საუკეთესო პრაქტიკას, რათა კომპანია და მისი კლიენტები დაცული იყვნენ ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და სხვა თაღლითური ქმედებისგან.

შპს „მისო სმარტ ფინანსი“ თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მთავარი პრინციპების დაცვით: „იცნობდე შენს კლიენტს“, რისკზე დამყარებული მიდგომა, საეჭვო ტრანზაქციების ქცევის მონიტორინგი, ჩანაწერები და დოკუმენტების შენახვა.

კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. თანამშრომლები და სხვა სოციალური საკითხები

ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობა

შპს „მისო სმარტ ფინანსი“ სისტემატიურად ცდილობს დაეხმაროს და ხელი გაუწოდოს სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს. ჩვენი კომპანია ეხმარება, როგორც მის მომხმარებლებს, ასევე სხვა, სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს. კომპანია მის მომხმარებლებს გარკვეულ შეღავათებს აძლევს მომსახურების გაწევისას და ხელს უწყობს ასევე დავალიანების შემცირებაში. მათ საშუალება აქვთ ისარგებლონ პროდუქტების პირობებით გათვალისწინებული საშეღავათო პერიოდით, მომსახურებისა და გაცემის საკომისიოების არარსებობითა, თუ მინიმალური ოდენობით, ასევე წინასწარ დაფარვის პირგასამტეხლოს არარსებობით და კლებადი, საბაზრო პროცენტთან შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

კომპანია ასევე პერიოდულად ეხმარება “კათარზისს” (სათნოების სახლს), რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარულ კავშირს და რომელიც არის კომპლექსური დახმარების ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური სამსახურები, რომლებიც აქტუალურია მოსახლეობისათვის.

შპს „მისო სმარტ ფინანსი“, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი თანამშრომლების წინაშე და ცდილობს წახალისოს და ხელი შეუწყოს მათ ოჯახის შექმნაში, დაეხმაროს მძიმე დაავადების მქონე თანამშრომლებს. კომპანია ზრუნავს მისი თანამშრომლების კეთილდღეობასა და დასვენებაზე, რაც კომპანიის მიერ კარგად ორგანიზებულ, შინაარსიანად დაგეგმილ კორპორატიულ შეკრებებსა და გასვლებში გამოიხატება.

მმართველობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2026 წლის 15 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

თ. რიაზუხა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. თანამშრომლები და სხვა სოციალური საკითხები

ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობა

შპს „მისო სმარტ ფინანსი“ სისტემატიურად ცდილობს დაეხმაროს და ხელი გაუწოდოს სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს. ჩვენი კომპანია ეხმარება, როგორც მის მომხმარებლებს, ასევე სხვა, სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს. კომპანია მის მომხმარებლებს გარკვეულ შეღავათებს აძლევს მომსახურების გაწევისას და ხელს უწყობს ასევე დავალიანების შემცირებაში. მათ საშუალება აქვთ ისარგებლონ პროდუქტების პირობებით გათვალისწინებული საშეღავათო პერიოდით, მომსახურებისა და გაცემის საკომისიოების არარსებობითა, თუ მინიმალური ოდენობით, ასევე წინასწარ დაფარვის პირგასამტეხლოს არარსებობით და კლებადი, საბაზრო პროცენტთან შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

კომპანია ასევე პერიოდულად ეხმარება “კათარზის” (სათნოების სახლს), რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარულ კავშირს და რომელიც არის კომპლექსური დახმარების ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური სამსახურები, რომლებიც აქტუალურია მოსახლეობისათვის.

შპს „მისო სმარტ ფინანსი“, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი თანამშრომლების წინაშე და ცდილობს წახალისოს და ხელი შეუწყოს მათ ოჯახის შექმნაში, დაეხმაროს მძიმე დაავადების მქონე თანამშრომლებს. კომპანია ზრუნავს მისი თანამშრომლების კეთილდღეობასა და დასვენებაზე, რაც კომპანიის მიერ კარგად ორგანიზებულ, შინაარსიანად დაგეგმილ კორპორატიულ შეკრებებსა და გასვლებში გამოიხატება.

მმართველობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2026 წლის 15 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ა. ხაბუა

თ. რიაზუხა